

მალთაყვის სარეკრეაციო ზონის განვითარება

გიორგი ბერიშვილი



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

არქიტექტურა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა დემეტრაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ბერიშვილი, 2019“.

განაცხადი.....	1
სარჩევი.....	3
აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	5
ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
ნევის ტყისა და მთების კურორტი.....	7
კოლხეთის ეროვნული პარკი.....	10
მტირალას ეროვნული პარკი.....	11
რეკრეაციული ზონა და ადამიანის განწყობა.....	14
ეკოტურიზმის როლი მდგრად გავითარებაში.....	15
მალთაყვის სარეკრეაციო ზონა.....	16
ბუნებრივი გარემოს კვლევა.....	19
ჰიდროლოგია.....	20
საკვლევი ტერიტორიის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება.....	22
წყლის მაქსიმალური დონეები.....	29
მოკლე ისტორია.....	32
დასკვნა.....	34
ბიბლიოგრაფია.....	36
დანართი 1	37
საპროექტო ნაწილი.....	109

აბსტრაქტი

მალთაყვის სარეკრეაციო ზონა მდებარეობს ქ.ფოთში. ტერიტორია გამოირჩევა ნოტიო ჰავით, წიწვოვანი ტყით და მრავალფეროვანი წყლის ბუნებრივი რესურსებით. რეკრეაციული ზონის განთვითარებას, ყოველთვის საჭიროა ფრთხლად მივუდგეთ რათა შემდგომი ზეგავლენის შედეგად არ დაზიანეს არსებული გარემო და შეინარჩუნოს ის ბუნებრივი ღირებულებები რომელიც გააჩნია.

მოცემული ტერიტორია გამოირჩევა იმით, რომ მას პირდაპირი საწყალოსნო კავშირი აქვს პალიასტომის ტპასთან მალთაყვის არხის მეშვეობით, ასევე პირდაპირ ესაზღვრება ზღვას. თუმცა, ზღვის ტერიტორიას გამოყოფს მცირე ნახევრად ტბის მსგავსი დაგროვილი წყლით. ამასთანავე, ტერიტორიას აქვს პირდაპირი კავშირი სენაკი-ფოთი-ბათუმის მაგისტრალურ სატრანსპორტო გზასთან.

პროექტის მიზანია, რომ ქ.ფოთში შეიქმნას ახალი საკურორტო რეკრეაციული სივრცე რომელიც იქნება ახალი მიზიდვის ცენტრი ქვეყნის ტურისტული გარემოსთვის. ამასთანავე, ტერიტორიაზე მოხდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადმოსვლა და მოეწყოს მცირე კოტეჯური ტიპის სასტუმრო საპროექტო ტერიტორიის ერთ ნაწილში. სააგენტოს შენობასთან მოეწყობა პირსი, რომლის საშუალებით კოლხეთის ეროვნული პარკის საწყალოსნო ტურში მოხდება პირდაპირ გასვლა და არ იქნება საჭირო სხვადასხვა ტერიტორიებზე სიარული, რაც კომფორტულია მომხმარებელისთვის. ტერიტორიის სამხრეთით კი მოეწყოს კემპინგ პარკინგი, რომელიც იქნება მომხმარებელთათვის. ამ ორ ტერიტორიას შორის კი უნდა მოხდეს როგორც საფეხმავლო, ისევე საველოსიპედო ბილიკებით კავშირების შექმნა, რაც შეუწყობს ხელს ეროვნული პარკის ცნობადობის გაზრდას.

მოცემული პროექტის მიზანია შეიქმნას ახალი ჯანსაღი გარემო, რომელიც დამსვენებელს ოთხივე სეზონზე მოემსახურება და მისცემს საშუალებას მიიღოს მაქსიმალური სიამოვნებას არსებული დასვენებისგან.